

ვ. როდონაია ლ. ვაშაკიძე მ. მირიანაშვილი ა. არაბული

# ქართული ენა

## 3



### მოსწავლის წიგნი



პირველი ნაწილი

ვ. როდონაია ლ. ვაშაკიძე გ. მირიანაშვილი ა. არაბული

# ქართული ენა

## III კლასი

მოსწავლის წიგნი

პირველი ნაწილი



საქართველოს მაცნე

---

გრიფმინიჭებულია საქართველოს განათლებისა და  
მეცნიერების სამინისტროს მიერ 2018 წელს

ქართული ენა – III კლასი პირველი ნაწილი  
მოსტავლის წიგნი  
ვ. როდონაია, ლ. ვაშაკიძე, მ. მირიანაშვილი, ა. არაბული

რედაქტორი – ნანა სუხიტაშვილი  
მხატვრები – თამარ ჭაველი  
ნინო აფციაური  
დამკაბადონებელი – ლია მოსეშვილი

გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“  
მის: ქ. თბილისი, ე. მაღალაშვილის ქ. №5  
ტელ: 568105467; 574 400 857  
ელ.ფოსტა: saqmatsne@mail.ru, sakmacne@gmail.com  
[www.http://saqmatsne.ge](http://saqmatsne.ge)

© გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, 2018  
© ვ. როდონაია, ლ. ვაშაკიძე, მ. მირიანაშვილი, ა. არაბული  
გამოცემის წელი და რიგითობა 2003, 2009, 2011, 2018 წელი  
ISBN 978-9941-16-570-2

# სარჩევი

სიმღერა მამულზე – ჯანსულ ჩარკვიანი	5
მაღე სექტემბერიც დაღგება – რევაზ ინანიშვილი	6
ფეფოს ახალწლისა – ლეილა ბეროშვილი	8
შორიდან მოსული მოწაფე – პაატა მამთორია	11
ხელის ჩუქურთმა – იოსებ გრიშაშვილი	14
გიმნაზიაში – აკაკი წერეთელი	16
პატარა მოგონებები დიდი მწერლის (აკაკი წერეთლის) შესახებ	20
მატარებელი – შოთა ნიშნიანიძე	22
დედა წერტილი და შვილი წერტილი – დონალდ ბისეტის მიხედვით	24
სასვენი ნიშნები – ავთანდილ არაბიძე	26
პეპის პირველი წერილი – ასტრიდ ლინდგრენი	30
მატასი, პიპა და სუსი-ფუსი – არჩილ სულაგაური	34
მაიას ყვავილები – გიორგი შატბერაშვილი	38
ხილთა ცილობა – გიორგი შატბერაშვილის მიხედვით	40
ვენახი – ძველი იგავის მიხედვით	42
ხალხური ლექსები	44
რამ იცის სილარიბე – ილია წიკლაური	46
შემოდგომა – მურმან ლებანიძე	48
გაიზრდები და დაგავიწყდება – ილია ჭავჭავაძე	49
იღბლიანი დღე – სანდრო შანშიაშვილი	51
ნასყიდა და მისი მევალე – გლეხეცის ნაამბობი	52
წყალობა – ცირა ქიტიაშვილი	54
დათვი და ბელები – გიორგი თურმანაული	56
რას გვირჩევს მოხუცი მეტყევე – ემზარ კვიტაიშვილი	59
დადგა ზამთარი – ლეილა ბეროშვილი	61
ზამთარი – გივი ჭიჭინაძე	64
დიდთოვლობა – თამაზ ბიბილური	66
ირემი – ხალხური	66
თომთეს ჩამოსვლის ამბავი – გიორგი კეკელიძე	68
თოვლის სიმღერა – გივი ჭიჭინაძე	72
კეთილი ფერიები – მერი ბოლქვაძე	73



## სიმღერა მამულზე

ჰაი, დილილმე, დილილმე,  
მთა-ბარი შემოვირბინე;  
მთაში წყარონი მღერიან,  
ბარში მინდორი ბიბინებს.

წყაროსაც დავეწაფები,  
დავკრეფ ვარდებს და გვირილებს,  
რა ლამაზი ხარ, მამულო,  
შენი გამჩენის ჭირიმე!

ჯანსულ ჩარკვიანი

1. რა განწყობაა ლექსში გადმოცემული?
2. რას უკავშირდება შენთვის ზაფხული?
3. როგორ და სად გაატარე ზაფხული?

აღწერე საქართველოს რომელიმე კუთხე.

# მალე სექტემბერიც დაღგება

საკმაოდ გრილოდა, მაგრამ მორევში მაინც ბანაობდა სამი შავად გახუხული ბიჭი, ათი-თორმეტი წლისანი. სამივე ისე იყო გამხდარი, ნეკნებს სათითაოდ დაუთვლიდი.

ნაპირზე ცეცხლი ენთოთ.

გამოცვივდნენ ბიჭები წყლიდან აკანკალებულები, თმა ზღარბივით ედგათ, კბილებს აკაწკაწებდნენ. მიუცუცქდნენ ცეცხლს, თანაც იმ მხარეს, საითაც ბოლი მიდიოდა. თვალებდახუჭულები ხელებს ალში ურევდნენ.

მენახირე თედო ჭალიდან ბრუნდებოდა და მობანავეებს თავზე წა-ადგა. დაეყუდა ჭოხზე, უყურებს. ამოხედეს, ჩქარ-ჩქარა დაახამხამეს თვალები, ბოლს აქეთ-იქით დაუწყეს გაყრა ხელებით.



— აქედან მაინც დაუსხედით, კაცებო, მაგ ბოლში რას იხრჩობთ თავს?! — უთხრა თედომ ბიჭებს.

მათ ერთმანეთს გადახედეს:

— მანდეთ რომ სითბო არ მოღის?

გაწმილებულმა თედომ კეთა მოიფხანა.

— კი, მაგრამ რაღა გაბანავებთ, როცა თან ეგრე გცივათ?

— კარგია! — სიამოვნების სიცილით თქვა ყველაზე გამხდარმა.

— აღრე გებანავათ, სანამ მზე მაღლა იყო და თბილოდა.

— მაშინაც ვბანაობდით.

— არ გეყოთ?

- არა, მალე სწავლა იწყება და მერე...
  - მერე აღარ შეიძლება ბანაობა?
  - შეიძლება, მაგრამ ეგეთი გემო აღარა აქვს.
  - რატომ?
  - იმიტომ, რომ გაკვეთილები გვაქვს მოსამზადებელი...
- უცებ წამოხტნენ, გაიქცნენ და გადაეშვნენ მორევში.

რევაზ ინანიშვილი



1. წელიწადის რომელი დრო არის აღწერილი მოთხოვნაში?
2. რა უკავშირდება სექტემბრის დადგომას?
3. რატომ უსხედან ბიჭები ცეცხლს ბოლის მხრიდან?
4. რატომ ეშურებიან ბიჭები ბანაობას?

### სიტყვის სკივრი

მორევი – ღრმა ადგილი მდინარეში.

ჭალა – ვაკე ადგილი მდინარის პირას.

გაწბილებული – გამტყუნებული, შერცხვენილი.

### სასაუბრო

გვიამბეთ ზაფხულის არდაღეგების ერთი დღის შესახებ.

რა შეიცვლება თქვენთვის სასწავლო წლის დადგომასთან ერთად?

რა მოვალეობებს გაკისრებთ სკოლა?

ჩამოთვლილი სიტყვების გამოყენებით (სასიამოვნოდ, მხიარულად, ტკბილად) ორსიტყვიანი წინადადებები აქციე სამსიტყვიანად:

ბებია ... თვლემდა.

ცეცხლი ... გუზგუზებდა.

ოთახში ... თბილოდა.

### საშინაო დავალება:

დაწერე: მე მოსწავლე ვარ.

სამი-ოთხი წინადადებით გადმოეცი, რა მოვალეობებს გაკისრებს სკოლა.

## ფეფოს ახალწლისა

ერთხელ ფეფომ გაიგონა: სიტყვის კაცს უთქვაშს, ძველად სექტემბერს ახალწლისა ერქვაო.

ფეფომ იფიქრა: სექტემბერს ასე ალბათ იმიტომ დაარქვეს, რომ სწავლა სექტემბერში იწყებოდაო.

ის დღე იყო და ის დღე, სოფელში ყველაზე მეტად ფეფო ელოდებოდა სექტემბრის ანუ ახალწლისას დადგომას.

თუმცა რაღა მადლი აქვს ასეთ მოლოდინს, როცა ზაფხულის ბოლო დღეები ასე გულისგამაწვრილებლად გაიწელება ხოლმე.

დაუჭდა ფეფო თავის თავს პირისპირ და უთხრა:

– ჯერ მოთმინება ისწავლე და დანარჩენზე ისე ილაპარაკე!

მართალიც იყო.

აი, მოუთმენლობამ შარშან ამ დროს რა დამართა.

ჩაუვლიდნენ უფროსკლასელები უმცროსებს უსალმოდ, ლაპარაკლაპარაკით; ძლივს მიჰქონდათ თავიანთი დამძიმებული ჩანთები. მეორეკლასელ ფეფოს პირდაპირ გულს უკლავდა თავისი ბუმბულივით მჩატე ჩანთის დანახვა.

ითმინა ფეფომ უფროსკლასელების ყელყელაობა, ითმინა და ვეღარ მოითმინა. თავის ჩანთაში, რომელშიც ორი წიგნი, ერთი რვეული და ერთი საწყალი კალამი დალალლალებდა, ქვები ჩაამატა. ფეფოს ჩანთა ისეთი გახდა, უფროსკლასელების ჩანთებისაგან ვერ გამოარჩევდი. თვითონაც გაჭრილი ვაშლივით დაემსგავსა უფროსკლასელებს, ისე საქმიანად დაჰქონდა თავისი ჩანთა.

მაგრამ ვინ იცის, ვის როდის დაუგებს წუთისოფელი მახეს?!

ერთ მშვენიერ დღეს, გაკვეთილზე წიგნის ამოღების დროს, ფეფოს სიფხიზლემ უმტყუნა და წამოვიდა ქვები.

იქ ამბავი ატყდა!..

მერე სოფელში მთელი წელი ისმოდა:

– ეს ის გოგოა, სკოლაში ქვა რომ დაჰქონდა...

– ეგ იმ გოგოს მეზობელია, ჩანთით რომ ქვა დაჰქონდა..

ერთხელ ავტობუსის მძლოლმა ცეროდენა გიოს ჩანთაც კი გაუჩხრიკა, ემანდ ქვები ხომ არ ამოაპარეო?!

ხალხს ხომ სალაპარაკო არ დაელევა ამ ქვეყანაზე! მაგრამ ფეფო უკვე მესამეკლასელია და მისი ჩანთა უფროსკლასელების ჩანთას ბევრი ალარაფრით ჩამოუვარდება.

ლეიილა ბეროშვილი



1. რა გაიფიქრა ფეფომ, როცა გაიგო, რომ სექტემბერს ძველად ახალ-წლისა ერქვა?
2. როგორ ელოდა ფეფო ახალწლისას?
3. რა ურჩია ფეფომ თავის თავს?
4. რა ეხარბებოდა ფეფოს უფროსკლასელებისა?
5. რა გამოსავალი მოძებნა ფეფომ, რით დაემსგავსა იგი უფროსკლა-სელებს?
6. რა ხიფათი შეემოხვა ფეფოს?
7. რას ამბობდნენ სოფლელები?
8. ნამდვილად როდის დაემსგავსა ფეფო უფროსკლასელებს?

### სიტყვის სკივრი

გულის გამაწვრილებლად – მომაბეზრებლად, შემაწუხებლად.  
ყელყელაობა – ამაყობა, თავის მოწონება.  
დალალლალებდა – თავისუფლად, ხალვათად იყო შიგ.  
ემანდ – შემთხვევით.

### დაიმახსოვრე გამონათქვამები:

ის დღე იყო და ის დღე – იმ დღის შემდეგ სულ.  
რაღა მაღლი აქვს – რაღად ვარგა? რაღაში გამოდგება?  
პირდაპირ გულს უგლავდა – აწუხებდა, ანაღვლებდა.  
გაჭრილი ვაშლივით დაემსგავსა – ძალიან, მეტისმეტად დაემსგავსა.  
წუთისოფელი მახეს დაუგებს – ცუდი რამ შეემთხვევა.

## ეს საინტერესოა

რა ერქვა ძველად თვეებს?

ძველად თვეებს ხალხური სახელებიც ჩამოვია. თვეს იმის მიხედვით არქმევდნენ სახელს, რაც მისთვის დამახასიათებელი იყო. მაგალითად, მაისს ერქვა ვარდობისა იმიტომ, რომ ამ დროს ვარდ-ყვავილი ყვაოდა, ივნისს – თიბათვე და ივლისს – მკათათვე, რადგან ამ თვეებში თიბავდნენ და მკიდნენ; ოქტომბერს ღვინობისთვე ერქვა, რაკი ამ დროს რთველი იმართებოდა და ღვინოს აყენებდნენ.

აი, სექტემბერს კი ახალწლისა ერქვა იმიტომ, რომ ძველად ახალი წელი სექტემბრიდან იწყებოდა. განა ახალი სასწავლო წელიც სექტემბრიდან არ იწყება?!

### 1 დააკვირდი მაგალითს. დაასრულე ჭინაღადებები:

- |                              |                              |
|------------------------------|------------------------------|
| ბიჭები ეტლში ჩასხდნენ.       | ბიჭი ეტლში ჩაჭდა.            |
| ბიჭები მანქანაში გადასხდნენ. | ბიჭი ეტლიდან მანქანაში . . . |
| ბიჭები სკამზე დასხდნენ.      | ბიჭი სკამზე . . .            |
| ქათმები ქანდარაზე შესხდნენ.  | ქათამი ქანდარაზე . . .       |
| ბავშვები მაგიდას მიუსხდნენ.  | ბავშვი მაგიდას . . .         |

### 2 დაასახელე, რომელი სიტყვები შეეფერება ფეფოს:

- |               |             |            |
|---------------|-------------|------------|
| გონებამახვილი | შურიანი     | უცნაური    |
| ცნობისმოყვარე | ფიქრიანი    | უხასიათო   |
| მოუთმენელი    | სევდიანი    | უყურადღებო |
| მხიარული      | მონდომებული | მეტიჩარა   |

## სასაუბრო

რატომ უნდოდა ფეფოს, რომ უფროსკლასელებს დამსგავსებოდა? თქვენ თუ პბაძავთ უფროსებს? თქვენ როგორ იქცევით, როცა გინდათ, რომ უფროსებს მიჰბაძოთ? თქვენ თვითონ რისი გაკეთება გიყვართ?

## საშინაო დავალება:

დაწერე: როგორი გოგოა ფეფო.

## შორიდან მოსული მოწაფე

სკოლა! ამ სიტყვის ხსენება გვახარებს, სახეზე ღიმილი გვეფინება. სკოლისაკენ მიმავალი გზა იცის ყველამ – დიდაც და პატარამაც. თუ შეეკითხებით, სიამოვნებით მიგასწავლიან.

სკოლაში ბავშვები ფეხით მიღიან. თუ შორია, ზოგან – სახედრით, ცხენით, ზოგან – მანქანით, ველოსიპედით, ცივ ჭვეყნებში – თხილამურებით, მარხილით და, თქვენ წარმოიდგინეთ, აქლემითაც კი, თუ უდაბნოა გასავლელი...

გაგიკვირდებათ, მაგრამ ერთი ინდოელი ბიჭი სკოლაში ცურვით მიღიოდა. ბიჭის მშობლებს ქოხი მდინარის გამოლმა ნაპირას ედგათ. მამა მიწის მუშა იყო, დედა ტყეში სამკურნალო ბალახებს აგროვებდა. მდინარე ისეთი დიდი იყო და განიერი, რომ კაცი მეორე ნაპირს თვალს ვერ მიუწვდენდა. ამხელა მდინარეზე ხიდს, აბა, ვინ გადებდა?!

სხვა რა დარჩენოდა სწავლას მოწყურებულ ბიჭს?

დილაუთენია დგებოდა. წაიხემსებდა. მერე კოხტად დაკეცილ ტან-საცმელს და წიგნებს თავზე დაიწყობდა, – არ დამისველდესო – და მდინარეში შეცურავდა.

ბიჭი ნაფოტივით მსუბუქი იყო, ცურვა არ უჭირდა. შორი მანძილი ჰქონდა გასაცური. გზაში ხან რაზე ფიქრობდა და ხან, რაზე. ასე მიეჩია ფიქრს.

თავსხმა წვიმების შემდეგ აღიდებული მდინარე მღვრიე ტალღებს მოაქანებდა და რაღა არ მოჰქონდა. მდინარეში შესვლა საშიში იყო, მაგრამ ბიჭმა შიშის დაძლევაც ისწავლა. ისევ სკოლის სიყვარულმა უშველა.

მასწავლებელი წელში მოხრილი სათვალიანი ბერიკაცი იყო, უზომოდ კეთილი და ფიქრიანი. იგი მოსწავლეებს ლამაზ საგალობლებს,



ძველ ლეგენდებს, წინაპართა გმირულ თავგადასავალს, ავისა და კარგის გარჩევას ასწავლიდა.

მასწავლებელმა ბიჭს „შორიდან მოსული მოწაფე“ შეარქვა.

გაკვეთილების შემდეგ ბავშვები შინისაკენ მოკურცხლავდნენ, მეცადინეობით დაღლილ ბიჭს კი მდინარე უკანვე უნდა გადაეცურა.

ასე განვლო რამდენიმე წელმა. მოწაფეები წამოიზარდნენ.

ერთ მშვენიერ დღეს სკოლასთან დამშვიღობების ზარმაც დარეკა.

მასწავლებელმა მოსწავლეები სათითაოდ დალოცა. მერე „შორიდან მოსულ მოწაფეს“ მიუბრუნდა:

– დიდმა მდინარემ და უხილობამ შენ სწავლაში ხელი ვერ შეგიშალა. ახლა უფრო ძნელი გზა გელის. ბევრი რამ უნდა ისწავლო. მჯერა, რომ ცოდნას შეიძენ და მას აღამიანთა გულებს შორის ხიდად გადებ...

მასწავლებელმა სკოლის ეზოში მდგარ ცადაწვდილ ხეებს გახედა და თქვა:

– მე მაშინ ამჭვეყნად აღარ ვიქნები, მაგრამ ეს ხეებიც ილოცებენ შენთვის.

მასწავლებლის წინასწარმეტყველება ახდა.

„შორიდან მოსულმა მოწაფემ“ მსოფლიოს ცნობილ უნივერსიტეტებში ისწავლა, დიდ სიბრძნეს დაეუფლა, ადამიანებს სიყვარულით გაუთბო გულები. მშობელმა ხალხმა მას ქვეყნის გაძლოლა მიანდო.

პაატა მამფორია



1. რითი გამოირჩა ერთი ბიჭი სხვებისაგან?
2. რამ დააძლევინა ბიჭს შიში?
3. როგორ გვიხატავს მწერალი მასწავლებელს?
4. როგორ გამოარჩია მან ბიჭი სხვა მოსწავლეებისაგან?
5. რა უწინასწარმეტყველა მასწავლებელმა ბიჭს?
6. რატომ ანდო მას ხალხმა თავისი ბედი?

### სიტყვის სკივრი

მიწის მუშა – გლეხკაცი, მხვნელ-მთეს-ველი.

წაიხემსებდა – მსუბუქად ისაუზმებდა.

საგალობელი – საღვთო სიმღერა.

ლეგენდა – ზეპირად გაღმოცემული ისტორიული ამბავი.

წინასწარმეტყველება – წინასწარ თქმა იმისა, თუ რა მოხდება.

**1 მოუძებნე სიტყვას დილაუთენია მსგავსი სიტყვები:**

მზის ამოსვლისას, მამლის ყივილზე, გარიფრაუზე  
შებინდებისას, განთიადისას, ცისკრისას, ალიონზე, შუადღისას

**2 დაასახელე, რომელი არ შეესაბამება ამ გამონათქვამს:**

„ცოდნას აღამიანთა გულებს შორის ხიდად გადებ“.

მშვიდობას დაამყარებ;

აღამიანთა სიყვარულს იქადაგებ;

მდინარეზე ხიდებს გადებ;

აღამიანებს ერთმანეთთან დაახლოებ.

## საშინაო დავალება:

ინტერნეტში მოძებნე ინფორმაცია რომელიმე გამოჩენილი ქართველი მამულიშვილის და მოღვაწის შესახებ. გააცანი იგი შენს კლასელებს.



**დაიმახსოვრე, როგორ იწერება!**

ბავშვები  
ველოსიპედი  
დილაუთენია  
ცადაწვდილი  
ბელ-ილბალი

## სასაუბრო

როგორია თქვენი სკოლა, სკოლის ეზო, სკოლის შენობა, საკლასო ოთახი, სპორტული დარბაზი? თქვენ რითი დადიხართ სკოლაში? აღწერეთ სკოლისაკენ მიმავალი გზა.

## საშინაო დავალება:

დაწერე: როგორ ახდა მასწავლებლის წინასწარმეტყველება.

# ხელის ჩუქურთმა

შენს ბარათს რომ დავაკვირდი,  
შვილო, სულ არ მომეწონა!  
ეს რა არის? როგორა წერ?  
ასოა თუ ფიჩის კონა?

„ა“ „ე“-სა ჰგავს, „ბანს“ კი – „მანი“,  
„რ“-ს არ ხურავს თავსახური.  
თითქოს ურემს გადაევლოს,  
მჭლე არის და უსახური.

ზოგი ასო უთოსა ჰგავს,  
ზოგი კიდევ – ჩიტის ბუდეს,  
და მიყრილი სტრიქონები –  
ძველი სახლის აბლაბუდებს.

ო, ჩვენს ქართულ ხელნაწერებს  
რა სჭობია, აბა, მითხარ?  
წაკითხვაც რომ არ გინდოდეს,  
დაგაწაფებს წასაკითხად.

ამიტომაც ვიდრე, შვილო,  
მოსწავლე ხარ, ახალგაზრდა,  
უნდა ლამაზ წერით შეძლო  
შეჯიბრება ლამაზ აზრთან.

უნდა წერას დაეუფლო  
ურბილესს და ულამაზესას,  
უნდა ბევრი იმუშაო  
ქართულ ხელის ჩუქურთმაზე.

იოსებ გრიშაშვილი



- რას საყვედურობს პოეტი ყმაწვილს?
- რას და რას ადარებს პოეტი ულამაზო ასოებს?
- რა ანიჭებს პოეტს დიდ სიამაყეს?

## სიტყვის სკივრი

მჭლე – ჩია, გამხდარი.

უსახური – უშნო.

დაგაწაფებს – კითხვას დაგაწყებინებს.



ქართული ხელნაწერი

## სიტყვის კვალდაკვალ

ხელის ჩუქურთმა – ასე უწოდებს პოეტი ლამაზ ხელნაწერს, კარგად გამოყვანილ ასოებს. ჩუქურთმა ჰქვია ეკლესიების კედლებზე გამოკვეთილ გამოსახულებებს. ამიტომაც არის ჩუქურთმასთან შედარებული გულდასმით გამოყვანილი ასოები.

### დაიმახსოვრე!



#### ქართული ანბანი

სიტყვა ბგერებისაგან შედგება. თითოეულ ბგერას წერისას შესაბამისი ასო გამოხატავს. ბგერას წარმოვთქვამთ, ასოს ვწერთ. ქართულ ენაში რამდენი ბგერაცაა სიტყვაში, იმდენივე ასოა. ქართულში 33 ბგერა, ესე იგი, 33 ასოა.

თანმიმდევრობით დალაგებულ ასოებს ანბანი ჰქვია. ანბანში ყველა ასოს თავისი სახელი აქვა:

ან, ბან, გან, ღონ, ენ, ვინ, ზენ, თან, ინ, კან, ლას, მან, ნარ, ონ, პარ, უან, რაე, სან, ტარ, უნ, ფარ, ქან, ლან, ყარ, შინ, ჩინ, ცან, ძილ, წილ, ჭარ, ხან, ჭან, ჰაე.

სიტყვა ანბანი პირველი ორი ასოს სახელებით არის შედგენილი.



სავარჩიშო – ანბანის სახელები.

#### გალექსილი ანბანი

აბგად ევზათ  
იკალ მანო  
პაჟა რასტა  
უფქა ღაყაშ  
ჩაცა ძაწა  
ჭახა ჭაჰა  
აკაკი შანიძე

- 1 **დაასახელე:** ორასოიანი, სამასოიანი, ოთხასოიანი სიტყვები; ღონ-ზე დაწყებული სიტყვები; მან-ზე დაწყებული ქალაქი, ცხოველი, ფრინველი, აღამიანის სახელი.
- 2 **დაშალე** ეს სიტყვები ასოებად. გაიხსენე თითოეული ასოს სახელი: მაგალითად: მთა → მ თ ა – მან, თან, ან. ბუღე, ჩანთა, თოფი, კუნძი, მზე, ტოროლა.

#### საშინაო დავალება:

ჩამოწერე ანბანის თითოეულ ასოზე დაწყებული თითო სიტყვა.

## გიმნაზიაში



მალე აკაკი გიმნაზიაში წავა.

ერთხელ, სწავლა რომ გათავდა და შეგვა-სვენეს, მე, რაღგან დილას არა მეჭამა რა, შე-ვირბინე შინ, ჩავიდე ახალუხის ჭიბეში ცხელი მჭადის კოკორი და მივაშურე ისევ კლასს, არ დამაგვიანდეს-მეთქი. მასწავლებელს ფეხად შეეს-წრო ჩემთვის და ხუთი მოწაფე კიდეც გამოეხმო და გაემწკრივებინა. შევყავი თუ არა თავი, მო-მაყვირა:

— შენც მობრძანდი და დადექი ამათთანაო! მივედი და გავჩერდი. ცხელი მჭადი მომედო ბარძაყზე და მეცხუნა! მე შმაშური დავიწყე, ხელი მოვისვი. ასე რომ ავტოკდი, მასწავლე-ბელმა შემნიშნა და მკითხა:

— რა გემართებაო?

დაფარვა აღარ შეიძლებოდა... ამოვაყოფინე ჭიბიდან მჭადს თავი... შეგირდებმა გადაიხარხარეს. მასწავლებელმაც ულვაშებში ჩაიცინა, გამომართვა მჭადი და წინ, მაგიდაზე, დაიდო. მე სირცხვილის ოფლი გადამსკდა. დაგვიწყო გაკვეთილების გამოკითხვა.

ამ დროს, ჩემდა საუბედუროდ, ინსპექტორი შემოვიდა. მაშინ კი ამიკანკალდა მუხლები. ის ისეთი შეუბრალებელი ვინმე იყო, რომ ყმაწვილის გაროზგვას არა ერჩია რა. ვიფიქრე, — ეს მჭადი ხეირს არ დამაყრის-მეთქი! მართლაც, მოპკრა თვალი თუ არა, დაიღრიალა:

— ამ მჭადს რა უნდა აქ, ვინ მოიტანაო?!

ერთი მოწაფე, რომელიც ხშირად მექიშპებოდა ხოლმე, წამოხტა ზეზე და მოახსენა:

— აკაკის ამოულეს ჭიბიდანაო!

— რად მოგიტანიაო?! — მკითხა მრისხანედ.

მე ენა ჩამივარდა, მაგრამ მასწავლებელმა მოახსენა, — ახლავე გაიგებთო, — და მკითხა:

— ეს რა არისო?

— მჭადი-მეთქი, — ვუპასუხე კნავილით.

— რისგან კეთდება?

— სიმინდისაგან.

— როგორ თესავენ სიმინდს?.. რანაირად იზრდება?.. როგორ მუშა-ობენ?.. როგორ აკეთებენ მჭადს და სხვანი.

ესენი ყველაფერი გამომკითხა და მეც პასუხს ვაძლევდი.

რამდენიმე წუთს მეკითხებოდა და ბოლოს თქვა:

– კარგიო! ხვალ არ დაგავიწყდეს ბრინჯის მოტანა, ხვალ იმის შესახებ ვილაპარაკოთო.

ინსპექტორმა იფიქრა, ამას სწორედ მასწავლებლის სურვილით მოუტანია მჭადიო და გავიღა კლასიდან ხმაამოულებლად.

მასწავლებელმა მაბეზლარა მოწაფე გაიხმო და ჰქითხა:

– შენ არა გაქვს რა ჭიბეშიო?

გაუსინჯა, კოჭი უნახა.

– ეს რა არისო? ეს ხომ სათამაშოა, რომელიც კლასში სრულიად გამოუსადეგარია და შენ კი ჭიბეში გიდევს!.. წერეთელმა მჭადი იმიტომ მოიტანა, რომ შიოდა და შეჭმა ველარ მოასწრო, შენ კი აქ სათამაშოდ დაბრძანდები! მე მაგ კოჭით წარგადგენ ინსპექტორთან!

იმ მოწაფეს ფერი ეცვალა და ატირდა. გაკვეთილი რომ გათავდა, მასწავლებელი მიუბრუნდა მტირალს და უთხრა:

– კარგი, ახლა მიპატიებია, მაგრამ ამის შემდეგ დაიმახსოვრე: რაც შენთვის არ გინდა, იმას ნურც სხვას უზამო.

აკაკი წერეთელი

### სიტყვის სკივრი

მჭადის კოკორი – პატარა მჭადი.

ფეხად შეესწრო – ის იყო შესულიყო.

შმაშური – უხერხული მოძრაობა.

შეგირდი – მოსწავლე.

ინსპექტორი – შემმოწმებელი.

გაროზგვა – წკეპლით ცემა.

ხეირს არ დააყრის – ავნებს, კარგს არაფერს მოუტანს.

კოჭი – ცხოველის სახსრის ძვალი, იყენებენ სათამაშოდ.



1. ვინ გვიამბობს ამ ამბავს?
2. რატომ დააგვიანდა პატარა აკაკის გაკვეთილზე?
3. რა არ ასვენებდა აკაკის?
4. რამ გაამხიარულა შეგირდები?
5. ვისმა გამოჩენამ შეაშინა აკაკი?
6. როგორ მოიქცა აკაკის ერთი კლასელი?
7. რა გამოსავალი იპოვა მასწავლებელმა?
8. რა უთხრა მასწავლებელმა მაბეზლარა მოსწავლეს?

## 1 განმარტე, რას ნიშნავს ხაზგასმული სიტყვები:

მასწავლებელს ფეხად შეესწრო ჩემთვის და ხუთი მოსწავლე კიდეც  
გამოეხმო და გაემწროვებინა.

ერთი მოწაფე, რომელიც ხშირად მექიშპებოდა ხოლმე, წამოხტა  
ზეზე და მოახსენა:

- აკაკის ამოულეს ჭიბიდანაო!

მე ენა ჩამივარდა, მაგრამ მასწავლებელმა მიხსნა.

## 2 მოძებნე მოთხრობაში მსგავსი სიტყვები და გამონათქვამები:

მაშინდა შესულიყო, თავისთვის ჩაიცინა, სიკეთეს არ მომიტანს.

## 3 ეს მოთხრობა შეიძლება დავყოთ მონაკვეთებად და შემდეგ- ნაირად დავასათაუროთ:

1. გაკვეთილზე დაგვიანება;
2. ცხელი მჭადი;
3. ინსპექტორის სტუმრობა;
4. დაბეზღება;
5. ყველაფერი მჭადისა და სიმინდის შესახებ;
6. რაც შენთვის არ გინდა, იმას ნურც სხვას უზამო.

მოძებნე მოთხრობაში და წაიკითხე, რომელ სათაურს რომელი  
მონაკვეთი შეესაბამება.

## 4 მოძებნე მოთხრობაში ყველაზე მნიშვნელოვანი აზრი.



ნახეთ ფილმი „აკაკის აკვანი“. ისაუბრეთ, აკა-  
კის „ჩემი თავგადასავლიდან“ თქვენ მიერ ნასწავ-  
ლი რომელი ეპიზოდია შეტანილი ფილმში.

### სასაუბრო

რატომ დაიცვა მასწავლებელმა აკაკი წერეთელი? თქვენ როგორ  
შეაფასებდით აკაკის თანაკლასელის საქციელს? თქვენ თუ ჩავარ-  
დნილხართ გაკვეთილზე უხერხულ მდგომარეობაში? თუ ჩაგიდენიათ  
ისეთი რამ, რის გამოც შენიშვნა დაიმსახურეთ?



## დაიმახსოვრე!

მოთხრობის ერთ მონაკვეთში აკაკი წერეთელი თავის თავზე საუბრობს: **მე შმაშური დავიწყე.** მე სირცხვილის ოფლი გადამსკდა. **მე ენა ჩამივარდა.**

როცა ადამიანი თავის თავზე ლაპარაკობს, იყენებს სიტყვას **მე.** ვინც ლაპარაკობს, ის არის პირველი პირი.


მეორე მონაკვეთში მასწავლებელმა მაბეზღარა მოსწავლეს ჰქითხა:

- **შენ არა გაქვს რა ჯიბებიო?**

აქ მასწავლებელი მიმართავს მეორე მოსწავლეს და იყენებს სიტყვას **შენ.** ვისაც მოსაუბრე მიმართავს, არის მეორე პირი.

ყველაფერი დანარჩენი (რაც არც პირველი პირია და არც – მეორე) არის მესამე პირი და მას გამოხატავს სიტყვა ის. მაგალითად: ის მირბის, ის კითხულობს.

სიტყვებს **მე, ჩვენ, შენ, თქვენ, ის, ისინი** პირის ნაცვალსახელები ჰქვია.



### დაასახელე გამოტოვებული სიტყვები:

მე ვსწავლობ.	მე . . .
შენ . . .	შენ კითხულობ.
ის სწავლობს.	ის . . .

**დაიმახსოვრე,  
როგორ იწერება!**

მე ვუთხარი	მე ვოცნებობ
მე ვუპასუხე	მე ვურჩიე

### საშინაო დავალება:

ამოწერე მოთხრობიდან ორ-ორი წინადადება, რომლებშიც გამოყენებულია პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელები.



## პატარა მოგონებები დიდი მწერლის შესახებ

### წარწერა წიგნზე

ერთხელ აკაკიმ თავისი მეგობრების ვაჟს საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო აჩუქა. პოეტმა ასეთი წარწერა გაუკეთა წიგნს:

„ჩემო დათიკო! ვისაც თავისი სამშობლო არ უყვარს,  
არ შეუსწავლია და არ ითვალისწინებს, ის კაცი არ არის.

შენი ბიძია აკაკი“.

ეს წიგნი პოეტის წარწერით, როგორც ძვირფასი რელიგია, ამჟა-  
მად სხვიტორში, აკაკის სახლ-მუზეუმშია დაცული.

### სიკეთის ძალა

აკაკის ერთხელ ქურდი მიეპარა და ჩუმად ხელი ჩაუყო ჭიბეში, სადაც ხელნაწერების მეტი არა იყო რა. პოლიციელმა შენიშნა და წავლო ხელი ჭიბგირს. მწერალმა დამფრთხალი და შეშინებული ახალგაზრდა ქურდი რომ დაინახა, შეებრალა, მიუბრუნდა და სი-  
ცილით უთხრა:

— შე კაცო, აკი ერთხელ გითხარი, მაგას ნუ შვრები-მეთქი! რად იცი  
ხოლმე ჩემს ჭიბეში ხელის ჩაყოფა? ხელნაწერი რომ არ წაიკითხო,  
არ იქნება? როცა დაიბეჭდება, მაშინაც მოესწრები სხვასთან ერთად  
წაკითხვას!

პოლიციელმა ეს რომ გაიგონა, იფიქრა, ალბათ ვინმე კარგი შეხუმ-  
რებული ნაცნობი ყოფილაო, ბოდიში მოიხადა და გაუშვა ჭიბგირი.

რამდენიმე წლის შემდეგ მწერალს წერილი მოუვიდა:

„დიდი ხანია, რაც კი რამ თქვენი დაბეჭდილა ან იბეჭდება, ყველაფერს  
ვკითხულობ. თქვენ რომ პირველად გნახეთ, იმ დღიდან ხელი ავიღე  
ჩემს პირვანდელ „ხელობაზე“, შევისწავლე წიგნების კინძვა. თუ ინე-  
ბებთ, წიგნებს ნახევარ ფასად შეგიყრავთ“.



### საშინაო დავალება:

იმუშავეთ ჭიბულებად. მოძებნეთ ინტერნეტში აკაკი წერეთლის  
ბიოგრაფია. გაინაწილეთ თემები: ოქანი, განათლება, მოღვაწეობა.  
ნამუშევარი წარუდგინეთ თანაკლასელებს.

# ჭირვეული ბიჭი და აკაკი

აკაკი ერთ ოჯახში საღილად იყო. დიასახლისის პატარა ვაჟი გაჭირვეულდა და ვერმიშელი ალარ ჭამა. დედა დაემუქრა. შვილი დაიმედებული იყო, სტუმართან მაინც არას მეტყვიანო, და ხელში კოვზს აწვალებდა. მერე მიუბრუნდა აკაკის და ჰელის:

— ძია, ამ კოვზს რა აწერია?

აკაკიმ კოვზი ჩამოართვა და ვითომ წაიკითხა:

„თუ არ ჭამე ვერმიშელი,

გაგლახავენ, ვერ გიშველი“.



აკაკი ბავშვებთან

## აკაკის სახლი

აი, რა თქვა ერთხელ მოხუცმა ანიკო აბდუშელიშვილმა, აკაკის სახლის ძველმა მოამაგემ სხვიტორში:

„ჩემო ბატონო, ამ სახლს ბალავარი არა აქვს. პირდაპირ კლდეზეა ამოშენებული. მიწისძვრის დროს ამ სოფელში ხის სახლებიც დაირღვა, აკაკის სახლს კი ერთი ბზარიც არ გასჩენია.“

აკაკი თავის სახლს ჰერი - მისი შემოქმედება პირდაპირ ხალხის გულიდანაა აღმოცენებული; დროთა ცვლა ბზარს ვერ გაუჩენს.

### სიტყვის სკივრი

რელიკვია - ძველი, მნიშვნელოვანი, სამახსოვრო ნივთი.

ხელნაწერი - ავტორის ხელით ნაწერი.

ჭიბგირი - ჭიბის ქურდი.

წიგნის კინძვა - ფურცლების წიგნად შეკვრა.

ბალავარი - საძირკველი.



1. რომელ მოგონებაში ჩანს აკაკის ხალისიანი ბუნება და ენამახვილობა?
2. როგორ პიროვნებად წარმოაჩნდა აკაკი წერეთელი მოგონებაში „წარწერა წიგნზე“?
3. რატომ ჰქვია მეორე მოგონებას „სიკეთის ძალა“?
4. რით ჰერი აკაკი თავის სახლს?
5. რატომ ეძვირფასება ხალხს უმნიშვნელო ეპიზოდებიც კი მწერლის ცხოვრებიდან?

# მატარებელი

ეზო-ეზო, კარიკარ,  
ღობე-ღობე, სარისარ  
ეკონება ბოლი ბოლს,  
გეგონება, თოვლი თოვს.

და მისდევენ ზვრები ზვრებს  
უკან-უკან, ზედიზედ,  
შუკა – შუკას,  
გზები – გზებს.

სიმინდების ფოჩები,  
ჭები, ოწინარები,  
მზეზე ძველი კოშკების  
ბჭენი მოცინარენი.

ზვინულები, ზვინები,  
ბინულები, ბინები,  
წისქვილები, ოდები,  
წისქვილებისოდენი;  
ტრიალებენ, ცეკვავენ  
ნათესები, ხნულები,  
დახულ-დაფარცხულები,  
ათასები, ულევი.

მიქრის მატარებელი,  
ჩქარი მატარებელი!..

შოთა ნიშნიანიძე



## სიტყვის სკივრი

შუკა – ორლობე, ვიწრო ქუჩა.  
ოწინარი – ჭიდან წყლის ამოსალები მოწყობილობა.  
ბჭე – ზღუდე, გალავანი.  
ზვინული – დაზვინული მიწა, მიწაყრილი.  
ბინული – წყარო.  
ოდა – ფიცრული სახლი.



- რა მოჩანს მატარებლიდან?
- ამ ლექსის მიხედვით, მატარებელი დგას თუ მიღის, მიღის თუ მიქრის?

1 დაასახელე, რომელი სიტყვა გულისხმობს სწრაფ სვლას,  
რომელი – ნელს:

მიღოღავს	მიიჩქარის
მიქრის	მიჩოჩავს
მიჩანჩალებს	მიღასლასებს
მირბის	მიძუნძულებს

2 დაასახელე, რომელ შემთხვევაში საით მიღის მატარებელი –  
იქით, აქეთ თუ იქითაც და აქეთაც?

მიქრის	მიღის
მოქრის	მოღის
დაქრის	დაღის

## სასაუბრო

თუ იყავით არღადეგებზე საღმე წასული? რით დაბრუნდით შინ?  
რა ნახეთ მგზავრობისას? რა დაგამახსოვრდათ ყველაზე მეტად?  
საჭართველოს რომელ კუთხეებში ხართ ნამყოფი?

### იმუშავეთ წყვილებად

შეადგინეთ ცხრილი, რომელშიც ჩამოწერეთ ლექსში მოძიებულ  
არსებით სახელებს და ზმნებს (მოქმედების აღმნიშვნელ სიტყვებს).

დაიმახსოვრე,  
როგორ იწერება!

ეზო-ეზო

ლობე-ლობე

უკან-უკან

### საშინაო დავალება:

გადაწერე ჩამოთვლილი სიტყვები და მიუწერე შესაბამისი სიტყვები:  
იქით, აქეთ, აქეთ და იქით

მირბის – . . .	მიხტის – . . .	მიფრინავს – . . .
მორბის – . . .	მოხტის – . . .	მოფრინავს – . . .
დარბის – . . .	დახტის – . . .	დაფრინავს – . . .

## დედა წერტილი და შვილი წერტილი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ფანქარი. ამ ფანქარს ძალიან უყვარდა ათასნაირი ხაზებისა და ხვეულების ხატვა. ერთხელ თქვა:

– ახლა წერტილებს დავხატავ.

ადგა და ერთი დიდი წერტილი დახატა, მეორე – პატარა.

– შენ დედა წერტილი იქნები, – უთხრა დიდ წერტილს, – შენ კიდევ შვილი წერტილი, – მიუბრუნდა პატარა წერტილს.

პირველ ხანებში წერტილები თავს მშვენივრად გრძნობდნენ.

– რა კარგია, წერტილები რომ ვართ, – ამბობდნენ ისინი, – ვერც ხაზები შეგვეღრებიან და ვერც ხვეულები!

– ნამეტანს ნუ გაიბლინძებით! – უთხრა მეზობელმა ხვეულმა, – დიდი ამბავი, წერტილები ხართ თუ რაღაც! ისხედით თქვენთვის და იყავით ჩუმალ!

წერტილები თავისთვის ისხდნენ და ჩუმალ იყვნენ. ბოლოს დედა წერტილმა ვეღარ მოითმინა და თქვა:

– რამე მაინც გვეთამაშა!

– შენი თამაში როგორ შეიძლება?! – გაუკვირდა შვილ წერტილს.

– შენ დიდი ხარ. მე რომ ვითამაშო, სხვაა, მე პატარა ვარ.

– არა, თამაში მირჩევნია! – გაჭიუტდა დედა წერტილი.

– ე, ეს უკვე უწესობაა, – თქვა ფანქარმა და დედა წერტილს ირგვლივ წრე შემოავლო, რომ არსაღ გაქცეულიყო.

დედა წერტილი ძალიან გაბრაზდა.

„როგორ გავიდე ამ წრიდან? – ფიქრობდა ის, – მოდი, ტირილ დავიწყებ, ცრემლის ტბას დავაყენებ და მერე იმ ტბას გადავცურავ“.

შეეცადა კიდეც ატირებულიყო, მაგრამ ერთი ცრემლი რა არის, ერთი ცრემლიც კი ვერ გადმოაგდო.

სწორედ ამ დროს კი ფანქარმა გადაწყვიტა:

– მოდი, მოთხრობას დავწერ!

ადგა და დაიწყო წერა.

რამდენი წინადაღებაც დაწერა, იმდენი პატარა წერტილი დასვა.

წერა, წერა და ბოლოშიც ჩავიდა. დიდი წერტილის დასმალა იყო საჭირო, მაგრამ ამ დროს ფანქარს წვერი მოსტყდა და პირკატანაცემი დარჩა.

– არ იტირო! – უთხრა ფანქარს საშლელმა, – მე წრის ნაწილს წავშლი, დიდი წერტილი წრიდან გამოვა და შენი მოთხრობის ბოლოში დაჭდება.

— დიდებული აზრია! — გაუხარდა ფანქარს, — დიდად გმადლობ, ძვირფასო საშლელო, გადამეხადოს!

საშლელმა წრის ნაწილი მოშალა, წერტილი გამოვიდა, ფანქრის მიერ დაწერილი მოთხრობის დასასრული მონახა და იქ დასკუპდა.

აქვე მთავრდება ჩვენი ამბავიც... წერტილი.

დონალდ ბისეტის მიხედვით



1. რატომ დაარქვა ერთ წერტილს ფანქარმა „დედა წერტილი“, მეორეს კი – „შვილი წერტილი“?
2. რატომ შემოავლო ფანქარმა დედა წერტილს წრე?
3. როგორ წერტილებს სვამდა ფანქარი ახალდაწერილ მოთხრობაში?
4. რატომ გამოუშვა საშლელმა დედა წერტილი წრიდან?
5. სად მონახა დედა წერტილმა თავისი ადგილი?
6. როგორ იწყება ეს ამბავი? რაზე მიუთითებს ასეთი დასაწყისი?

### იმუშავეთ წყვილებად

თითოეულმა თქვენგანმა მოკლედ დაწეროს, როგორია ეს ზღაპარი – მხიარული თუ სევდიანი; თქვენს ნაწერში სასვენი ნიშნები არ დასვათ. მერე გაცვალეთ ნაწერები. დაუსვით ერთმანეთის ნაწერს სასვენი ნიშნები.

#### სიტყვის სკივრი

ხვეულები – დახვეული ხაზები.

პირკატანაცემი – შემცბარი, გაოგნებული.

უწესობა – უწესრიგობა, უკანონობა.

დაიმახსოვრე, როგორ იწერება!

მოსტყდა

მუვენივრად

თავისთვის

რამეები

#### საშინაო დავალება:

წარუდგინე სხვებს საკუთარი თავი: რა გქვია? რამდენი წლის ხარ? სად ცხოვრობ? სად სწავლობ?

გამოიყენე იმდენი წინადაღება, რომ ოთხი წერტილი დაგჭირდეს.

## სასვენი ნიშნები

(ბავშვებისა და სიტყვის კაცის გაბაასება)

– სიტყვის კაცო, მაგ შენს სკივრში  
რად ინახავ სასვენ ნიშნებს?

რად უწოდებ „სიტყვის მწყემსებს“  
ამ პატარა სამშვენისებს?

– აი, რატომ:

ამდენ სიტყვას  
თუკი „მწყემსი“ არ ეყოლა,  
ისე აზრი დაგვებნევა,  
შეიქმნება ზედახორა.

– სასვენ ნიშნებს მეთაურობს  
ეს ნიშანი – წერტილი,  
თუმც დანარჩენ ნიშნებს შორის  
მოჩანს ციცქნა წვეთივით.

უმისოდ ვერ მოუხერხებთ  
სათქმელს საზღვრის დადებას,  
და ვერ აქცევთ ახალ აზრად,  
ანუ წინადადებად.

– ამ პატარა თავკომბალას  
წილად ერგო საქმე მძიმე:  
წერტილიდან წერტილამდე  
აზრს და სიტყვებს ანაწილებს.  
ამიტომაც ჰქვია მძიმე.

– იქ კი, სადაც ჩამწკრივდება  
სიტყვის ჩამონათვალი,  
ორწერტილი ბებოსავით  
დარაჭად დგას სათვალით.

– ეს ვის შვენის ბრძანებები –  
ხმამაღალი, მახვილი? –  
ასე რომ ჰგავს მწყემსის კომბალს,  
ნიშანია ძახილის.

— თითქოს ეჭვით გაღუნულა  
წელში კითხვის ნიშანი:  
რატომ?  
როგორ?  
სად?  
რად?  
როდის?  
ეს არის?  
თუ  
ის არის?

— ეს ნიშანი გამოხატავს  
აზრს და სათქმელს გაწყვეტილს,  
მრავალწერტილს ეძახიან  
ამ მიწყობილ სამ წერტილს.  
— ვთქვათ და სიტყვა დაგვეკარგა,  
შველის საქმეს სატირელს  
რომელიმე ძმათაგანი —  
ან დეფისი, ან ტირე.

— აი, თურმე  
ნამდვილ „მწყემსებს“,  
განა მხოლოდ სამშვენისებს,  
რამდენი რამ შესძლებია  
ამ პატარა სასვენ ნიშნებს!

ავთანდილ არაბიძე



### სიტყვის სკივრი

სამშვენისი — სამკაული.  
ზედახორა — ხროვა,  
გროვა.  
საზღვრის დადება —  
დამთავრება.



1. როდის ვსვამთ წერტილს?
2. რა ნიშანი იწერება წინადაღების ბოლოს დაძახების, ბრძანების დროს?
3. როდის ვსვამთ კითხვის ნიშანს?
4. რომელ სასვენ ნიშანს ვსვამთ სიტყვების ჩამოთვლის დროს?
5. რა სასვენ ნიშანს ვსვამთ გამოტოვებული სიტყვის ნაცვლად?

## დაიმახსოვრე!



### სასვენი ნიშნები

ისევე, როგორც სიტყვას, სასვენ ნიშანსაც თავისი სათქმელი აქვს: ზოგი გვიბრძანებს, ზოგი გვეკითხება, ზოგი გვეძახის, ზოგი მოგვითხრობს; ზოგნიც ჩამოთვლის დროს ჩამწკრივდებიან ხოლმე სიტყვებს შორის.

თქვენ უკვე იცით, როდის იწერება წერტილი, კითხვის ნიშანი და ძახილის ნიშანი. სხვა სასვენ ნიშნებსაც არაერთხელ შეხვედრიხართ.

ახლა კიდევ ერთხელ გადავავლოთ მათ თვალი:

- – წერტილი: აღნიშნავს წინადაღების დასასრულს.
- – მძიმე: ერთმანეთისაგან გამოყოფს ჩამოთვლილ სიტყვებს ან წინადაღების ნაწილებს.
- ؟ – კითხვის ნიშანი: გამოხატავს შეკითხვას.
- ! – ძახილის ნიშანი: გამოხატავს ბრძანება-მოწოდებას.
- : – ორწერტილი: ამ ნიშანს მოსდევს სხვისი ნათქვამი ან სიტყვათა ჩამონათვალი.
- … – მრავალწერტილი: აღნიშნავს, რომ კიდევ დარჩა რაღაც სათქმელი.

როგორც ხედავთ, ჩამოთვლის წინ იწერება ორწერტილი; ჩამოთვლისას სიტყვები ერთმანეთისაგან მძიმით გამოიყოფა; როდესაც სათქმელი დასრულებული არ არის, მრავალწერტილი იწერება.



სავარჯიშოები – სასვენი ნიშნები.

**1 დააკვირდი მაგალითს:** ცად არის აწვდილი – ცადაწვდილი.  
აქციე ერთ სიტყვად მოცემული სიტყვები:

თვალი აქვს ახელილი

ხელი აქვს გაწვდილი

გული აქვს დამშვიდებული

ყელი აქვს მოღერებული

**2** მოცემული წინადაღებების მიხედვით ერთი სიტყვით უპასუხე  
შესაბამის კითხვას:

რომელი?

როგორი?

თამარი საუკეთესო მოსწავლეა.

- როგორი მოსწავლეა თამარი?

ლუკა მესამე კლასში სწავლობს.

- რომელ კლასში სწავლობს ლუკა?

მამამ ელენეს ნახატებიანი წიგნი უყიდა.

- როგორი წიგნი უყიდა მამამ ელენეს?

გოგიმ შარშანდელი სახელმძღვანელოები მეზობელს აჩუქა.

- რომელი სახელმძღვანელოები აჩუქა გოგიმ მეზობელს?

ჩემი შვილებიდან მხოლოდ უფროსი დადის სკოლაში.

- რომელი დადის სკოლაში?

დიდედამ ელენეს ჭრელი ხელთათმანები მოუქმოვა.

- როგორი ხელთათმანები მოუქმოვა დიდედამ ელენეს?

**3** დაასახელე, რომელი კითხვა შეესაბამება ხაზგასმულ სიტყვებს:

სპილო ძლიერი ცხოველია.

მესამე წიგნი ზღაპრების კრებულია.

კიბის მეხუთე საფეხური ჩატეხილია.

ნინიკოს ლამაზი კაბა აცვია.

გიორგის ცალხაზიანი რვეული სახლში დარჩა.

ჩემი უმცროსი შვილი ექიმია.

თამუნას დიდი თოჯინა აჩუქეს.

### საშინაო დავალება:

გადაწერე მოცემული ტექსტი და დასვი სასვენი ნიშნები:

ზამთრის სუსხიანი დღე იყო ცივი ქარი უბერავდა სციოდათ ტყის ბინადართ მელაკუდებს მგლებს ციყვებს კურდლლებს კვერნებს მოწყენილად გამოიყურებოდნენ გაშიშვლებული ხეებიც აღარ ისმოდა ფრინველთა გალობა.

## პეპის პირველი წერილი

— დღეს, — წამოიწყო ტომიმ, — მე და ანიკამ ბებიას წერილი მივ-წერეთ. ალბათ მალე მივიღებთ პასუხს.

— ეჭ, მე კი არასოდეს მიმიღია წერილი! — ამოიოხრა პეპიმ.

— რა არის გასაკვირი, შენც ხომ არავის სწერ წერილს?

— იმიტომ არ სწერ, — ჩამოართვა ტომიმ სიტყვა ანიკას, — რომ სკოლაში სიარული არ გინდა. სკოლაში თუ არ იარე, როგორ ისწავლი წერას?!

— ნურას უკაცრავად, — ეწყინა პეპის, — ძალიანაც კარგად ვწერ, იმდენი ასო ვიცი! თუ ასოები არ მეყო, ავდგები და ციფრებს დავწერ. ტომი, რას წერენ წერილებში?

— რა ვიცი, ზოგი რას წერს, ზოგი — რას, — სერიოზულად მიუგო ტომიმ, — მე, მაგალითად, პირველად ბებიას ჯანმრთელობა მოვიკითხე; მერე ჩემი ამბავი მივწერე; მერე ის შევატყობინე, აქ როგორი ამინდებია და არც ის დამვიწყებია, სარდაფში თაგვი რომ მოვკალი.

— გული მტკივა, რომ წერილებს არასოდეს ვიღებ. ყველა ბავშვი იღებს, ყველა, ჩემ გარდა. რაკი ბებია არა მყავს, მე თვითონ მივწერ ჩემს თავს წერილს.

პეპიმ გააღო ღუმელის კარი და შეიხედა.

— საღლაც აქ უნდა მედოს ფანქარი, თუ არ ვცდები.

ღუმელში მართლაც იპოვა ფანქარი. მერე შუაზე გახია ქაღალდის თეთრი პარკი და სამზარეულოს მაგიდას მიუჭდა, შუბლი შეიკრა და საქმიანი იერი მიიღო.

— ხელი არ შემიშალოთ, ვთიქრობ! — გააფრთხილა მეგობრები.

ტომიმ და ანიკამ თამაში დაიწყეს, პეპი კი კარგა ხანს წერდა. ბოლოს, როგორც იქნა, დაასრულა წერილი, ოლონდ კონვერტი ვერ იპოვა. ტომიმ არ დაიზარა და შინ გავარდა კონვერტის მოსატანად. კონვერტს მარკაც მოაყოლა. პეპიმ კონვერტზე თავისი სრული სახელი და მისამართი დააწერა: „პეპილოტა გრძელწინდას, ვილა „ყიყლიყო“.

— პეპი, რა წერია შენს წერილში? — ჰკითხა ანიკამ.

— რა ვიცი, ჯერ ხომ არ მიმიღია.

ამ დროს სახლის წინ ფოსტალიონმა ჩაიარა.

— ბედმა გამიღიმა! სწორედ მაშინ გამოჩნდა ფოსტალიონი, როცა აუცილებლად წერილი უნდა მივიღო.

პეპი ფოსტალიონს შეეგება.

— თუ შეიძლება, ეს წერილი პეპი გრძელწინდას გადაეცით. იცოდეთ, სასწრაფოა!

ფოსტალიონი ჯერ წერილს დააცქერდა, მერე პეპის შეხედა გაკვირვებულმა:

- როგორ, შენ თვითონ არა ხარ პეპი გრძელწინდა?

- რა თქმა უნდა..


– მაში, მე რაღაზე მაძლევ მაგ წერილს? – ჰკითხა ფოსტალიონმა.

- როგორ, მე თვითონ ხომ არ მივუტან ჩემს თავს წერილს?

„არ ღირს გამოდავებაო“, – იფიქრა ფოსტალიონშა და ჩოგორც  
პეპიმ სთხოვა, ისე მოიქცა. მივიღა საფოსტო ყუთთან და ჩაუშვა  
წერილი. წერილი ძირამდე არც იყო ჩასული, რომ პეპი ელვისებური  
სისწრაფით მივარდა ყუთს და წერილი ამოილო.

— ერთი სული მაქვს, ვიდრე ამ წერილს წავიკითხავ, — მიუბრუნდა პეპი ტომისა და ანიკას, — წარმოგიდგენიათ, წერილი მივიღე!

ბავშვები ჩამოსხდნენ ტერასის კიბეზე და პეპიმ კონვერტი გახსნა. ტომი და ანიკა ზურგს უკან ამოსდგომოდნენ და ისე კითხულობდნენ. წერილში ეწერა:



– პეპი, გულახდილად უნდა გითხოვა, რომ საშინელი შეცდომებია წერილში, – თქვა ტომიძ.

– Ֆու, Քեզո, Տյուղանի շնչառ օարու դա Շահումյան Եղիշե օվացլու, – մեարու աղջի անոյամ ձմաս.

— არაფერიც, ზუსტად იგივე წერია ჩემს წერილში, რაც შენ ბებიას მისწერე. ამიტომაც ნამდვილი წერილია! ჩემს სიცოცხლეში არ დამავიწყდება ეს სიტყვები.

პეპიმ ფრთხილად დაკეცა წერილი, კონვერტში ჩადო და დიდი ძველი კარალის უქრაში შეინახა.

ასტრიდ ლინდგრენი



1. რას ელოდებოდნენ ტომი და ანიკა?
2. რაზე დასწყდა გული პეპის?
3. რა მისწერა ტომიმ ბებიას?
4. რა გადაწყვიტა პეპიმ?
5. რა სჭირდება წერილის გაგზავნას?
6. რა დააწერა პეპიმ კონვერტს?
7. რა უთხრეს ტომიმ და ანიკამ პეპის?
8. რატომ შეინახა პეპიმ წერილი?

## 1

### ორი წერილი

სალამი სანდროს!

როგორ ხარ? ჩემმა მოგზაურობაშ კარგად ჩაიარა. ჩამოგიტანე, რაც გინდოდა და ამ კვირის ბოლოს მოგიტან. ვიცი, მოგეწონება. ჩემი შვებულება დასრულდა. კარგი დრო გავატარე, ბევრი ვიმხიარულე. ორშაბათიდან მომიწევს სამსახურში სიარული.

სიყვარულით, გიო აბაშიძე

გამარჯობა, ბატონონიკოლოზ!

როგორ ბრძანდებით? ჩემმა მოგზაურობაშ კარგად ჩაიარა. ჩამოგიტანეთ, რაც გნებავდათ და ამ კვირის ბოლოს მოგართმევთ. იმედია, მოგეწონებათ. ჩემი შვებულება დასრულდა. ორშაბათიდან სამსახურში გამოვცხადდები.

პატივისცემით, გიორგი აბაშიძე

ვინ წერს თითოეულ ამ წერილს? რომელი წერილია მეგობრისათვის განკუთვნილი, რომელი — ასაკით უფროსი თანამშრომლისათვის?

რა განსხვავებაა ამ წერილებს შორის? მოძებნე ერთი და იმავე შინაარსის წინადადებები; როგორ არის გამოთქმული ერთი და იგივე აზრი ერთგან და როგორ — მეორეგან. მოძებნე წინადადება, რომელიც მხოლოდ ერთ წერილშია.

## 2 დაუსვი კითხვები ხაზგასმულ სიტყვებს:

პეპიმ ღუმელში მართლაც იპოვა ფანქარი.

სახლის წინ ფოსტალიონმა ჩაიარა.

პეპი, უნდა გითხრა, რომ საშინელი შეცდომებია შენს წერილში.

ამ მოთხრობაში არაფერია ნათქვამი პეპის გარეგნობის შესახებ.

წარმოიდგინე და ფანქრებით დახატე ეს უცნაური გოგონა.



### დაიმახსოვრე!



#### პორტრეტი

რაც შენ დახატე, პეპის პორტრეტია. ახლა წაიკითხე, როგორ აღწერა მწერალმა სხვა ადგილას პეპი:

„საოცარი სანახავი იყო: სტაფილოსფერი თმა ორ ნაწილად აეკვანწა აქეთ-იქით. პაჭუა ცხვირი ჭორფლით დასწინწერილოდა. პირი ლამის ყურებამდე ჰქონდა გახეული. რომ გაიცინებდა, თეთრად უელავდა კბილები. ლურჯი კაბა ეცვა, რომელიც პეპიმ თვითონ შეიკერა. მაგრამ ეტყობოდა, რომ ნაჭერი არ ეყო და ადგილ-ადგილ წითელი ნაკურები ჩაედგა. წვრილ კანჭებზე სხვადასხვა ფერის გრძელი წინდები ეცვა, ერთი – ყავისფერი, მეორე – შავი. უზარმაზარ შავ ფეხსაცმელებს ისე მოაფრატუნებდა, იფიქრებდი, საცაა გასძვრებაო“.

შენ ფანქრით, ფერებით დახატე პეპი. მწერალმა კი სიტყვებით დაგვიხატა მისი გარეგნობა. ერთსაც და მეორესაც პორტრეტი ჰქვია.



გაიხსენე რა არის პორტრეტი. ხელოვნება – სურათის სამყარო.

### იმუშავეთ ჭგუფებად

გაუგზავნეთ წერილი პეპის. ფურცელზე თითოეულმა თქვენგანმა თანმიმდევრობით თითო წინადაღება დაწეროს. ყურადღებით წაიკითხეთ სხვისი ნაწერი, რომ იგივე არ გაიმეოროთ. გაითვალისწინეთ, როგორ იწერება წერილი. წაიკითხეთ თითოეული ჭგუფის წერილი.

### საშინაო დავალება:

მისწერე წერილი შენს მასწავლებელს. არ დაგავიწყდეს ზრდილობიანი ფორმების გამოყენება.